N686 2014 წლის 19 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში (სსმ, 25/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის „თ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ.ა) უფასოდ უზრუნველყონ ზარის წამოწყება, დასრულება ან ტრანზიტი, ასევე, მოკლე ტექსტური შეტყობინების ინიცირება, გადაცემა ან ტრანზიტი შემდეგ შემთხვევებში:

თ.ა.ა) აბონენტის მიერ საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ტელეფონების 1XX ფორმატის მოკლე ნომრებზე განხორციელებულ ზარებსა და გაგზავნილ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებზე;

თ.ა.ბ) საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ტელეფონების 1XX ფორმატის მოკლე ნომრებიდან ამ სამსახურის გამომძახებელი აბონენტის მიმართულებით უკან განხორციელებულ ზარებსა და გაგზავნილ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებზე;

თ.ა.გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „112“-ის მოთხოვნის შემთხვევაში, მის მიერ მითითებულ, შესაბამისი საგანგებო (ექსტრემალური) მომსახურების მიმწოდებელი სამსახურების კონკრეტულ სააბონენტო ნომრებზე განხორციელებულ ზარებზე;“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**